დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“
დირექტორის ბრძანება № 35 „ ო “ ,, 19 ’’ „ივნისი“ 2020 წ

სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

2. წინამდებარე წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დასანიშნად დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები, რომლის მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება.
3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხობვნებს, ფუნქციებსა და საჭირო უნარებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები მოიცავს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, გამოცდილების და კომპიუტერული პროგრამების ცოდნას. აგრეთვე სხვა პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას.
5. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ პროგრამის ხელმძღვანელისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მუხლი 2. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია (უმაღლესი/პროფესიული);
2. პროფესიის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება;

მუხლი 3. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები:

პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს:

1. ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროიგრამის შემუშავებაში;
2. შეფასების ვერიფიკაციაში;
3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში;
4. ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მუშაობაში;

მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელის საჭირო უნარები:

1. ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
2. საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა;
3. კომუნიკაბელურობა;
4. გუნდური მუშაობის უნარი;
5. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;